# სავაჭრო ცენტრი ვარკეთილში
## გენგეგმა



01.19.36.003.113
მესაკუთრე: შპს
"მეტრო ჰოლდინგი"




| პირობითი აღნიშვნები | |
|---|---|
| | საპროექტო ტერიტორია |
| | საავტომობილო გზა |
| | ტროტუარი |
| | მწვანე საფარი |
| | საპროექტო შენობა |
| | სერვიტუტი |

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

№ 0C24950 29 01 2024

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №01.19.36.003.113 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: შპს "მეტრო ჰოლდინგი" (ს/ნ 404512933) დაზუსტებული ფართობი: 8316.0 კვ.მ მისამართი: ქალაქი თბილისი, მეტრო სადგური 'ვარკეთილი'-ს მიმდებარედ, აეროდრომის დასახლება, I ქუჩა N33) სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი AR11011112 განაცხადის შესაბამისად მოხდეს შეთანხმებული პროექტის ცვლილება და გაიცეს მშენებლობის ნებართვა (შემდგომში - **ნებართვა**) შეთანხმებული პროექტის მიხედვით. ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე ნებართვის** საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

გიორგი სახვაძე

კორპორაციული კლიენტების მომსახურების
დეპარტამენტის სექტორის უფროსი

222495

42,ანა პოლიტკოვსკაიას ქ. საქართველო,0186 თბილისი
შპს ახალი ქსელები ს/კ 211326732
11 00 00
info@ak.ge

ახალი ქსელები

13.02.2024
N24-180/ე.ფ

შპს „მეტრო ჰოლდინგი“-ს დირექტორს
ბ-ნ ზურაბ კირვალიძეს
ტელ: 551 292 255
მის: ქ. თბილისი, ჭოველიძის ქუჩა, №4
ელ. ფოსტა: lela@tiflis.ge

თქვენი 30.01.2024 წლის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე, ქ. თბილისი, მეტრო სადგური „ვარკეთილი“-ს მიმდებარედ, აეროდრომის დასახლება, I ქუჩა, №33-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.36.003.113) გადის შპს „ახალი ქსელები’’-ს ხაზოვანი ნაგებობა.

შპს „ახალი ქსელები’’ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები იმ პირობით, რომ აღნიშნული სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით, ასევე არ დაზიანდება და არ მოექცევა რაიმე შენობა-ნაგებობის ქვეშ ჩვენს კუთვნილებაში არსებული კომუნიკაციები. აუცილებელია, აღნიშნული სამუშაოები ჩვენი ხაზოვანი ნაგებობის სიახლოვეს ჩატარდეს ხელით.

შემდგომში, თუ დამატებითი საპროექტო სამუშაოების შესრულება იგეგმება, აუცილებელია აღნიშნული ჩასატარებელი საპროექტო სამუშაოების შეთანხმება მოხდეს წინასწარ, რათა მოხდეს დაზუსტება არის თუ არა თანხვედრაში საპროექტო სამუშაოები ჩვენს არსებულ ქსელთან და წარმოადგენს თუ არა კომუნიკაციების დაზიანების რისკს.

იმ შემთხვევაში თუ, ჩვენ საკუთრებაში არსებულ ხაზოვან ნაგებობასთან თანხვედრაში იქნება საპროექტო სამუშოების ჩატარების ადგილი, აუცილებელია მოხდეს ქსელის გადატანა ტექნიკური შესაძლებლობის გათვალისწინებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებართვის შემთხვევაში, რომლის გადატანის ხარჯები სრულად უნდა დაფაროთ თქვენ, ჩვენ მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით.

სამუშაოების მსვლელობის დროს ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება დაგეკისრებათ თქვენ.

სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ გამოიძახოთ ჩვენი წარმომადგენელი.
ტელ: 11 00 00

დანართი: 1) ტექნიკური პირობა;
2) შეთანხმებული გეგმა.

პატივისცემით,

პროექტირების სამსახურის უფროსი ნიკოლოზ გელიაშვილი

№ 663/24-8 "05" 02 2024

შპს „მეტრო ჰოლდინგი“-ს დირექტორს
ბატონ ზურაბ კირვალიძეს
ქ. თბილისი, ჭოველიძის ქ. #4
ტელ: 551292255

ბატონო ზურაბ,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-878; 30/01/2024წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, აეროდრომის დასახლება, ქუჩა 1, #33-ში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.19.36.003.113 გადის სს „სილქნეტის“ კუთვნილი კომუნიკაციები. წარმოდგენილი გენ-გეგმის თანახმად საპროექტო შენობა და სს „სილქნეტის“ კომუნიკაციები არ მოდის კვეთაში ერთმანეთთან. სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის“ კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის“ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

ხაზობრივი ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში დაგეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

სს „სილქნეტის“ კომუნიკაციასა და საპროექტო შენობას შორის დაშორება შეადგენს მინიმუმ 1 მეტრს.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა

# საჯარო ცენტრი ვარკეთილში
## გენგეგმა




სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გამოძახებულ იქნას სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 40
ტექნიკური განყოფილება
თარიღი

თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617 +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-5254-24
14 / 02 20 24

შპს „მეტრო ჰოლდინგი“-ს დირექტორს
ზურაბ კირვალიძეს

ბატონო ზურაბ,

თქვენი მიმდინარე წლის 29 იანვრის №02-13-5254-24 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, მეტრო სადგური „ვარკეთილი“-ს მიმდებარედ, აეროდრომის დასახლება, I ქუჩა №33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.19.36.003.113) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ კომპანია თანახმაა აწარმოოთ სამშენებლო სამუშაოები.

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით შპს „თბილისი ენერჯი“-ს ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

IOS QR Android QR

# სავაჭრო ცენტრი ვარკეთილში
## გენგეგმა




შპს ეთნისი-ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
დეველოპერი დადასტურებულია
სსრ მისიის №02-13-32554-24
14 / 02 2024 წ.

№ 0624-0916955 D 26 02 2024

შპს „მეტრო ჰოლდინგი“
ელ-ფოსტა: zura@tmcgeorgia.com; chekurishvili@yahoo.com
ტელეფონი: 574 41 27 64; 551 29 22 55

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN24-0913068, დათარიღებული 16/02/2024წ.) მეტრო სადგური „ვარკეთილი“-ის მიმდებარედ, აეროდრომის დასახლება 1 ქუჩა #33-ში (ს/კ 01.19.36.003.113) სავაჭრო ცენტრის მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ „კომპანიის“ წარმომადგენელს:

მესამე საოპერაციო ცენტრის მენეჯერი ლევან გაგნიძე. ტელ: 591 70 75 06.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; მ. ლოლაძე
ტელეფონი: 293 11 11 (11 27); (51 13)

სასპორტო ცენტრი ვარკეთილში

გენგეგმა





შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის"
საოპერაციო ცენტრი №3
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი _____
რეგ.№ _____ 2024 წ.
საშუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ
იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01240322041**
თარიღი: **01/02/2024**

**ადრესატი:** შპს მეტრო ჰოლდინგი
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 404512933
**მისამართი:** თბილისი, უჩანეიშვილის ქ. N24ა

შ.პ.ს “თბილსერვის ჯგუფში” შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:01.19.36.003.113) საზღვრის სიახლოვეს განთავსებულია გარე განათების მოქმედი ელ.ქსელი, აქედან გამომდინარე შ.პ.ს. “თბილსერვის ჯგუფი” წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, თუ უზრუნველყოფილი იქნება თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და დაცული იქნება დაცვის ზონები შენობა/ ნაგებობასა და ელ.სადენს შორის (დასაშვები მანძილი შენობა/ნაგებობების, ხაზობრივ ნაგებობასთან მიმართებაში უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა), ხოლო შემდგომში აუცილებლობის შემთხვევაში გარე განათების ქსელის გადაადგილება შეთანხმებული უნდა იყოს შ.პ.ს."თბილსერვის ჯგუფთან" და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან. შეთანხმებუყლი გენ გეგმა იხ. დანართის სახით.

დანართი: ერთი ფურცელი

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე
(გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01240343**
თარიღი: **03/02/2024**

**ადრესატი:** შპს მეტრო ჰოლდინგი
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 404512933
**მისამართი:** თბილისი, უჩანეიშვილის ქ. N24ა

ბატონო ზურაბ,

შპს „თბილსერვის ჯგუფში“ 30.01.2024 წ. შემოსული (N10/01240302366-62) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის სანიაღვრე დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი ქ.თბილისი, მეტროსადგურ ვარკეთილი-ს მიმდებარედ, აეროდრომის დასახლება 1 ქუჩა N33 (ს/კ 01.19.36.003.113) და განხილული იქნა თქვენს მიერ წარდგენილი გენ გეგმა. გარკვა, რომ 188 მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული სანიაღვრე ქსელი არ გადის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სანიაღვრე დეპარტამენტი წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები წარმოდგენილი გენ გეგმის შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ სანიაღვრე დეპარტამენტთან შესათანხმებლად პროექტი უნდა წარმომადგინოთ ხელზე, რის შემდეგ მერიის შესაბამისი სამსახური გასცემს ნებართვას პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად.

ზაზა ბერიშვილი

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტი-დეპარტამენტის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სავაჭრო ცენტრი ვარკეთილში

გენგეგმა




შეთანხმებულია
შპს "თბილსერვის ჯგუფი"
სამუშაოების დაწყების წინ დაუკავშირდით
ჩვენს წარმომადგენელს
ტელ.: 595 30 76 75
01 02 2024 წ.

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 281

"1" ოქტომბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 9 სექტემბრის №20.1028.1295 და 2020 წლის 25 სექტემბრის №20.1126.1406 განკარგულებების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქ. თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული №01202312062-67 (№01202472333-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

### პირობითი აღნიშვნები

საპროექტო ტერიტორია

მიწის ნაკვეთის ფართობი 8114 მ²

შენიშვნა:
არ იგეგმება რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის კონტურის ცვლილება




| პირობითი აღნიშვნები | დამკვეთი |
| --- | --- |
| | შპს "მეტრო ჰოლდინგი" |

CITY PROJECT

შ.პ.ს სიტი პროექტი
საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, რ. თაბუკაშვილის ქ.№ 46

| თანამდებობა | გვარი, სახელი | ხელმოწერა |
| --- | --- | --- |
| დირექტორი | მ. მახათაძე | |
| მთ. არქიტექტორი | ი. ბზარაშვილი | |
| არქიტ. ტორი | გ. ბერაია | |

მიწის ნაკვეთის განაწილებისა და გამიჯვნის გეგმა

ქალაქი თბილისი,

| მასშტაბი | ფორმატი | ფურც № | სულ ფურც |
| --- | --- | --- | --- |
| 1:500 | A3 | 10 | |
| | | | 14.08.2020 |




| პირობითი აღნიშვნები | დამკვეთი |
|---|---|
| | მპს "მეტრო ჰოლდინგი" |

CITY PROJECT

ქ.ქ.ს. ქალაქპროექტი
სალიცენზიო კ.თბილისი,
მთაწმინდა, ძმებმინდის
რაიონი, ქ. თბილისშირის
ქ.№ 46



| | | | |
|---|---|---|---|
| თანაავტორები | ჭკუასელი სანელი | ხელმოწერა | არსებული ზონირების რუკა |
| დირექტორი | ზ. ანანიაშვილი | | |
| მთ. არქიტექტორი | ი. ჯაფარიძე | | |
| არქიტექტორი | ჭ. ჯაფარიძე | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| მასშტაბი | ფორმატი | ფურცლის № | ფურც. რაოდ. |
| 1:2000 | A3 | 27 | |

ქალაქი თბილისის მეტროს სადგური "ჭავჭავაძის" მიმდებარედ

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | შიდა ხედი |
| | | | 15.09.2020 |




| საპროექტო კოეფიციენტები | | ფართი (მ²) |
|---|---|---|
| | მიღებული კოეფიციენტი | საანგარიშო ფართი |
| ა1 | 0.5 | 4381.56 |
| ა2 | 2.5 | 20606.56 |
| ა3 | 0.2 | 1217.7 |
| ტერიტორიის ფართი | | 8114 |

| ფუნქციების და სახეობების პროცენტული თანაფარდობა | | | |
|---|---|---|---|
| საპროექტო/არსებული | პროექტირებული ფართი | 12430 | 100% |
| | არსებული ასათვისებელი და გასარეგისტრირებელი | 8700 | |

| პირობითი აღნიშვნები | დამკვეთი |
|---|---|
| | შპს "მეტრო ჰოლდინგი" |

CITY PROJECT
ქ.პ.ს ქალაქთმშენებლობითი პროექტების საქართველოს ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რ. თავაძის ქუჩის ქ.№ 46

| | | |
|---|---|---|
| თანამდებობა | გვარი, სახელი | ხელმოწერა |
| ხელმძღვანელი | ბ. ბახტაძე | |
| ძირ. პროექტირების | ი. ჯვარსკელია | |
| არქიტექტორი | ქ. გელაძე | |

დაგეგმილი ფუნქციური ზონები და შემოყვანების სახეობები

| | | | |
|---|---|---|---|
| ობიექტი | ეტაპი | ფურცლის N | ფურც. ფურც. |
| | | | |

ქალაქ თბილისი, მაბრუ/ აღმაშენებლის ქუჩის კვეთაში, მიმდებარედ




## ნაკვეთების პარამეტრები

| ნაკვეთის ნომერი | ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | ფუნქციური ზონა | ნაკვეთის განაშენიანების ფართობი (კვ.მ) | კ-1 | ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის ფართობი (კვ.მ) | კ-2 | ნაკვეთის გამწვანების ფართობი (კვ.მ) | კ-3 | სივრცით-გეგმარებითი ჭრილის სახეობა | ერთი შენობის განთავსების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.19.36.003.109 | 8114 | სსზ-2 | 4100 | 0.5 | 20500 | 2.5 | 1220 | 0.2 | ღია | დასაშვებია 1 შენობის განთავსება |

| პროექტის ავტორები | დამკვეთი | |
|---|---|---|
| | შპს "ველარო ჰოლდინგი" | შ.პ.ს. არქიტექტორები საქართველო, ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის ქ№ 46 CITY PROJECT |

| თანაავტორები | გვარი, სახელი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| ხელმძღვანელი | ბ. ბებიაშვილი | |
| ჯგუფის ხელმძღვანელი | ი. ვასაძე | |
| არქიტექტორი | გ. გვრიტი | |

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის/სართულიანობის დადგენის რუკა

| ობიექტი | ეტაპი | ფურცელი | ფურცლების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | | | |

ქალაქი თბილისი, მატრო სადგური "ვარაზიანთან", მიმდებარედ

H=L/Y
Y=0.35

განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნულის ანგარიშის ფორმულა

# ჭრილი 1-1

Y=0,35
L=6,500
H=L/Y
H=6,500/0.35
H=18,571




# ჭრილი 2-2

Y=0,35
L=12,558
H=L/Y
H=12,558/0.35
H=35,880

Y=0,35
L=19,455
H=L/Y
H=19,455/0.35
H=54,957




| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვირტუალური ალნიშვნები | დამკვეთი | | მ.პ.ს. კლასიფიკაციის საქართველოს ქ.თბილისის, თბილისის მთავარწყაროს რაიონის, ქ. თამაზაშვილის ქ№ 46 | | თანამდებობა | გვარი, სახელი | ხელმოწერა | მაჯისმაღალური სიმაღლის განმსაზღვრელი სხივი საანგარიშო ჭრილები | ფაილის | ფორმატი | ფურცლის | ფურც. რაოდ. |
| | მპს "მეტარო ჭოლდინგი" | | | | დირექტორი | მ. მახათაძე | | | 1:250 | 5:3 | 16 | |
| | | | | | ავტო. პროექტირების | ი. ჯვარესაშვილი | | | | | | |
| | | | | | პროექტირების | ქ. ბერიძე | | ქალაქი თბილისი, მატარო სტუდენტი პროექტირების მიმდებარედ | ობიექტი | | | შესრულების |
| | | | | | | | | | ობიექტი | | | |

# მიწის ნაკვეთის საზღვრები ზომები და კორდინატებუ

| მიწის ნაკვეთის დადგენილი სიკრცითი-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტი | |
|---|---|
| 1.მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი | 01.19.36.003.109 |
| 2.ნაკვეთის ფართობი | 8114.00 მ² |
| 3.დაგეგმილი მიზნობრივი დანიშნულება | არასასოფლო-სამეურნეო |
| 4.განაშენიანების მეზღუდავი ზონა ან ქვეზონა | თვითმფრინავების ასაფრენი ზოლი |
| 5.ტერიტორიულ სტრუქტურული ზონა ან ქვეზონა | ზონა: პერიფერიული ზონა (პზ)<br>ზონა: განაშენიანების პარკსი (გპ) |
| 6.პრიორიტეტული ფუნქციური ზონა | სახოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) |
| 7.სამშენებლო გამოყენების სტატუსი | სამშენებლო |
| 8.გამოყენების სახეობა და მასში მდებარე ფუნქცია | მრავალფუნქციური მენობა |
| 9. მიწის ნაკვეთის პროფილიები | ა1 – 0.5; ა2 – 2.5; ა3 – 0.2; |
| 10.მენობა ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლეს/სართულიანობა | 7 სართული 28.70 მ |
| 11.ავტომანქანების აუცილებელი (მინიმალური) რაოდენობა | ავტომანქანების აუცილებელი რაოდენობა - 0<br>ავტომანქანების საპროექტო რაოდენობა - 189 |
| 12.მენობა-ნაგებობის განთავსების წესი | წყობის სახეობა - ღია<br>რეგულირების ხაზი - წითელი, განაშენიანების საკალდებულო ღერძი ხაზის დაცვა არ ხდება,<br>მიწის ნაკვეთზე არის დასაშვები 1 მენობის განთავსება. |
| 13.მიწის ნაკვეთის დაყოფა, გაერთიანების რეჟიმი | არ არის დასაშვები დაყოფა, გაერთიანება |







| პირობითი აღნიშვნები | დამკვეთი |
|---|---|
| | შპს "მეტარო ჭილდინგი" |


შ.პ.ს ქალაქგრომექტი
საკართველოს ქ.ქუთაისის, ფოლისის, მიქელაძიდის რაიონის , რ. თაკაიშვილის ქ.№ 46
CITY PROJECT




| | | | |
|---|---|---|---|
| თანაავტორი | გვარი, სახელი | ხელმოწერა | მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტი |
| ტექნიკური | ბ. მახათაძე | | |
| ხელ. არქიტექტორი | ი. ჯვარმაცაიძე | | |
| არქიტექტორი | ქ. გვრიტი | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ასაკობრ. | ფორმატი | ფურცელი | ფურცლის N |
| 1:500 | A3 | 49 | |

ქალაქი ქუთაისის მეტარო ჭილდინგი ტერიტორიის მიწის ნაკვეთი

# ფოტომონტაჟი № 1



# ფოტომონტაჟი №2



# ფოტომონტაჟი №3



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტის განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01200693325**
თარიღი: **09/03/2020**
კიხი: **6854**

**ადრესატი:** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახური
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

გადააამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს

გიორგი ებანოიძეს

ბატონო გიორგი,

2020 წლის 12 თებერვლის N01200433937-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქ. N 40-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. 01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ, რომ:

ტრანსპორტის განვითარების სააგენტომ განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე, გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია - ჯავახეთის ქუჩა - მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, შესაბამისად გაიზრდება საზოგადოებრიეი ტრანსპორტის მომხმარებელთა რიცხვიც.

საპროექტო არეალის მიმდებარედ საფეხმავლო ბილიკების ნაწილი მოსაწესრიგებელია. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზეც რეკომენდებულია ტროტუარების, პანდუსებისა და საქვეითე გადასასვლელების მოწყობა, განახლება.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მიმდებარე ტერიტორიის ზოგიერთ მიმართულებაზე შეინიშნება გადატვირთულობა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია მეტროსადგურ „ვარკეთილის" მიმდებარედ არის და არსებულ ტერიტორიაზე იგეგმება საავტობუსო განცალკევებული ზოლის მოწყობა, საპროგნოზო მგზავრობების დიდი ნაწილი განხორციელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით, შესაბამისად საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის ზრდასთან ერთად შემცირდება კერძო ტრანსპორტის მოხმარება.

ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **0120244248**
თარიღი: **31/08/2020**
პინი: **8950**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2020 წლის 18 აგვისტოს N 01202312062-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქ. N 40-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. 01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინების საფუძველზე, გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 12 თებერვლის N 01200433937-67 განცხადების პასუხად N 16-01200693325 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **0120251451**
თარიღი: **07/09/2020**
პინი: **7101**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2020 წლის 3 სექტემბრის N 01202472333-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქ. N 40-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. 01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინების საფუძველზე, გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 31 აგვისტოს N 0120244248 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **01200582826**
თარიღი: **27/02/2020**
პინი: **9082**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 12 თებერვლის №01200433937-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, მ/ს „ვარკეთილის" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.36.003.109; ფუნქციური ზონა: სსზ-2 და სზ-6) მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის (კომერციული, საოფისე და გასართობი დანიშნულების ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებას (ტაქსაცია), რომლის შესაბამისად, საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს მწვანე ნარგავების ადგილმონაცვლეობას (მოჭრა/გადარგავა). **შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნა არ გააჩნია.**

ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (**არსებული:** 3 ძირი აკაცია, 3 ძირი იფანი, 4 ძირი კაკალი, 14 ძირი თუთა და **საპროექტოდ დასარგავი:** ერთი ძირი ვერცხლისფერი ნაძვი, 9 ძირი ესპანური სოჭი, 14 ძირი თათრული ნეკერჩხალი, ერთი ძირი ამბრის და 9 ძირი არყის ხე - **ჯამში: 58 ერთეული**) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**1 220 მ$^2$**)

გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, №01.19.36.003.109 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის (კომერციული, საოფისე და გასართობი დანიშნულების ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01202513255**
თარიღი: **07/09/2020**
პინი: **7568**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 3 სექტემბრის №01202472333-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, მ/ს „ვარკეთილის" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.36.003.109; ფუნქციური ზონა: სსზ-2 და სზ-6) მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის (კომერციული, საოფისე და გასართობი დანიშნულების ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით, სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში დადებითი პოზიცია დააფიქსირა მიმდინარე წლის 27 თებერვლის №01200582826 წერილით. გამომდინარე იქიდან, რომ 2020 წლის 3 სექტემბრის №01202472333-67 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი, რომელიც გეცნობათ მიმდინარე წლის 27 თებერვლის №01200582826 წერილით, გთხოვთ იხელმძღვანელოთ აღნიშნული პოზიციით.

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

**განკარგულება - N 20.1126.1406**
**25 / სექტემბერი / 2020 წ.**

**„ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის'' მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.003.019) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 9 სექტემბრის N20.1028.1295 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის'' მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.003.019) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 9 სექტემბრის N20.1028.1295 განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის'' მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე'';

ბ) აღწერილობითი ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 18 აგვისტოს N01202312062-67 (N01202472333-67) განცხადებით მიმართა ზურაბ კირვალიძემ (პ/ნ 01009009055) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის'' მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.''

გ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის''

მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.''

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაეევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე- მერი) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

## განკარგულება - N 20.1028.1295
## 9 / სექტემბერი / 2020 წ.

**ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის'' მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.003.019) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 18 აგვისტოს N01202312062-67 (N01202472333-67) განცხადებით მიმართა ზურაბ კირვალიძემ (პ/ნ 01009009055) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის'' მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.003.019) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამგორის რაიონში, მეტროსადგურ „ვარკეთილის" მიმდებარედ. დღევანდელი მდგომარეობით, საპროექტო არელის ფართობი შეადგენს 8114 კვ.მ-ს. წარმოდგენილ კომპლექსში, შესაბამისი თანაფარდობის დაცვით, დაგეგმილია სავაჭრო, დამხმარე და საოფისე სივრცეების გაჩენა, ქვედა და მიწისპირა სართულებზე გათვალისწინებულია საპარკინგე სივრცის განვითარება. საპროექტო კომპლექსის არეალი ქანობიანია, ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს 8 მეტრს (ტოპოგრაფიული მონაცემების თანახმად, ნიშნულები მერყეობს 458-450 მაჩვენებელებს შორის).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მეტრო სადგურ ვარკეთილის მიმდებარედ, საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.085; N01.19.36.003.063; N01.19.36.003.086; N01.19.36.003.101; N01.19.36.003.096; N01.19.36.003.087; N01.19.36.003.081; N01.19.36.003.068; N01.19.36.003.093; N01.19.36.003.105; N01.19.36.003.106; N01.19.36.003.067; N01.19.36.003.066; N01.19.36.003.021; N01.19.36.003.100; N01.19.36.003.102; N01.19.36.003.028; N01.19.36.003.083; N01.19.36.003.095 (ასევე, მიმდებარედ დაურეგისტრირებელი ტერიტორია) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 ნოემბრის N398 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

საპროექტო წინადადებით იგეგმება შიდაკვარტალურ სივრცეში გაერთიანებულ საკადასტრო ერთეულზე - N01.19.36.003.109 ერთი შენობის მშენებლობა, სამომავლოდ, ტერიტორიის გახსნილობისა და მისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ასევე, იგეგმება 2 საკადასტრო ერთეულზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.031 და N01.19.36.003.008) განთავსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

ფუნქციური გამოყენებები - მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა (კომერციული, საოფისე და გასართობი დანიშნულების ობიექტები).

ნაკვეთების საერთო ფართობი: 8114 კვ.მ

საპროექტო ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

საპროექტო კოეფიციენტები:

განაშენიანების ფართობი (კ1) – 0,5 დაახლოებით 4 100 მ$^2$

განაშენიანების ინტენსივობის ფართობი (კ2) -2,5 დაახლოებით 20 500 მ$^2$

გამწვანებული ტერიტორიის ფართობი (კ3) - 0,2 მინიმუმ 1 220 მ$^2$

მაქსიმალური სართულიანობა: 5 მიწისზედა და 2 მიწისქვეშა სართული

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5[1] პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო; ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 სექტემბრის N18-01202513255 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, N01.19.36.003.109 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის (კომერციული, საოფისე და გასართობი დანიშნულების ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 31 აგვისტოს N0120244248 წერილის შესაბამისად, ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იგეგმება ახალი საგზაო მოძრაობის გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი, იგი არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა. მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

წარმოდგენილი წინადადებით ტერიტორიის განვითარება და ზემოხსენებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ასევე, N01202312062-67 (N01202472333-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის'' მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.003.019) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაიგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 630

19 დეკემბერი
"___" _____ 2023 წ

ქ. თბილისი

**"ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №281 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 14 დეკემბრის №23.1924.2129 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას "ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №281 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01233073620-67 (№01233462360-67; №01233472415-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

**განკარგულება - N 23.1924.2129**
**14 / დეკემბერი / 2023 წ.**

**„ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის'' მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N281 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების შესახებ**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 3 ნოემბრის N01233073620-67 (N01233462360-67; N01233472415-67) განცხადებით მიმართა ზურაბ კირვალიძემ (პ/ნ 01009009055) მოითხოვა „ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის'' მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N281 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, აეროდრომის დასახლება, I ქუჩა N33; ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის'' მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.103; N01.19.36.003.109). ფართობი: 8316 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

„ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ ,,ვარკეთილის'' მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N281 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. საპროექტო არეალი მოიცავდა 8114 კვ.მ.-ს.

წარმოდგენილი კორექტირებით, ტერიტორიას ემატება ახალი N01.19.36.003.103 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (202 კვ.მ.), შესაბამისად, იცვლება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვრული არეალი და ხდება 8316 კვ.მ.

არსებული ფუნქციური ზონა:

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)

საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)

დამტკიცებული საპროექტო ფუნქციური ზონა:

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) - 8114 კვ.მ.

კ1=0,5 დაახლოებით 4 100 კვ.მ;

კ2=2,5; დაახლოებით 20 500 კვ.მ;

კ3=0,2; დაახლოებით 1 217 კე.მ..

კორექტირებული საპროექტო ფუნქციური ზონა:

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) - 8316 კვ.მ

კ-1=0.6 (4 614 კვ.მ);

კ-2=2.1 (17 161 კვ.მ);

კ-3=0.2 (1 670 კვ.მ).

საპროექტო ნაკვეთი და საპროექტო შენობა: 1

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა- 25.14მ

საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქცია- 100%

შეთანხმებული პროექტი (+4 კომერციული ფართი)

შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტს ემატება ერთი მიწისქვეშა სართული, რის ხარჯზე დამტკიცებული პროექტით არსებული პარკინგი (ქვედა ქუჩის მხრიდან პირველი მიწისზედა სართული) გეგმარდება კომერციული დატვირთვით. ხოლო დაგეგმილი ორსართულიანი პარკინგის დონე ჩაიწევს ერთი სართულით დაბლა (-2) და (- 3) სართულის დონეზე. კონსტრუქციული სართულიანობა - 7;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და $5^1$ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

